ბრძანება

N 04/113

113-01-4-201805071531

07/05/2018

გადაწყვეტილება

2018 წლის 2 მარტის N01/155 საჩივრის საფუძველზე მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ

1. აღწერილობითი ნაწილი

1.1. საჩივრის შინაარსი

2018 წლის 2 მარტს საქართველოს კონკურენციის სააგენტოში (შემდგომში - „სააგენტო“) წარმოდგენილ იქნა ი.მ. ლიზა კალმახელიძის (პირადი N43001005374), ი.მ. თინათინ ჭიღლაძის (პირადი N59001102998), ი.მ. ლევან ხორგუაშვილის (პირადი N59001009516), ი.მ. ვლადიმერ პაპიტაშვილის (პირადი N59001022593), ი.მ. ნანა სარქისიანის (პირადი N59001031345), ი.მ. დარეჯან გზიშვილის (პირადი N59001041156), ნაირა ნალიყაშვილის (პირადი N59001021701), შპს „ჯნს გრუპის“ (ს.კ.418468820), შპს „ფორტუნას“ (ს.კ. 417877186), შპს „კახაბერის“ (ს.კ. 417877211) და შპს „მომსახურების სააგენტოს“ (ს.კ. 417879816) ერთობლივი საჩივარი (განცხადების რეგ. N01/155) შპს „ტექნოკომის“ (ს.კ. 404960173) მიერ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - „კანონი“) მე-11^3 მუხლის სავარაუდო დარღვევის შესახებ.

საჩივრის თანახმად, მომჩივნები ქალაქ გორში მომხმარებლებს სთავაზობენ ტაქსებით მომსახურებას. საჩივარში ასევე აღნიშნულია, რომ შპს „ტექნოკომმა“ (ს.კ.404960173), რომლის ბრენდირებული სახელწოდებაა „მაქსიმი“, ქალაქ გორში დაიწყო ტაქსებით მომსახურების ბაზარზე ოპერირება. მომჩივნები ასევე მიუთითებენ, რომ ამ ეტაპზე „მაქსიმი“ მომხმარებელთა მოზიდვის მიზნით საკუთარი მომსახურების მიწოდებას ახორციელებს ძალიან დაბალ ფასად. გარდა ამისა, მოპასუხე ეკონომიკური აგენტი მომხმარებლებს დამატებით, ერთჯერადად, საჩუქრის სახით, ურიცხავს 4 ლარს. საჩივარში ასევე მითითებულია, რომ „მაქსიმი“ მძღოლებს ყოველ გამოძახებაზე უხდის

დანამატს 50 თეთრის ოდენობით, რათა მძღოლებმა აღნიშნულ კომპანიასთან ითანამშრომლონ. ხსენებული ქმედებების შედეგად, „მაქსიმმა“ მიიზიდა მძღოლების გარკვეული რაოდენობა, მათ შორის ის მძღოლები (საჩივარში აღნიშნულია დაახლოებით ათი მძღოლი), რომლებიც თანამშრომლობდნენ მომჩივნებთან. საჩივარში მითითებულია სამი პირი (ამჟამად უკვე „მაქსიმში“ დასაქმებული მძღოლები), რომლებსაც, მომჩივნების პოზიციით, შეუძლიათ დაადასტურონ ზემოთ დასახელებული გარემოებები. გარდა ამისა, საჩივარში მოცემული ფაქტობრივი გარემოებების დასადასტურებლად, მტკიცებულების სახით თანდართულია ფოტომასალაც. მომჩივანთა განცხადებით, ისინი მგზავრებისა და მძღოლების დაკარგვის მნიშვნელოვანი საფრთხის წინაშე დგანან.

1.2. სააგენტოს მიერ მხარეებისგან მიღებული დამატებითი ინფორმაცია და მტკიცებულებები

ა) მოპასუხე ეკონომიკური აგენტი

საჩივარი, თანდართულ მასალებთან ერთად, 2018 წლის 5 მარტის №02/272 წერილით გადაეგზავნა მოპასუხე ეკონომიკურ აგენტს შპს „ტექნოკომს“ (ს.კ. 404960173).

მოპასუხე ეკონომიკურმა აგენტმა, 2018 წლის 29 მარტს (წერილი N01/280) წარმოადგინა წერილობითი პოზიცია განსახილველ საჩივართან დაკავშირებით. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ მომჩივანი მხარეები გაერთიანების გზით ცდილობენ ქალაქ გორში დომინირებული მდგომარეობის მოპოვებას. ამასთან, მოპასუხე აპელირებს იმ ფაქტზე, რომ მომჩივანი მხარეები თავიდანვე ქმნიდნენ ბარიერებს, რათა შპს „ტექნოკომისთვის“ შეეზღუდათ ბაზარზე შეღწევა. გარდა ამისა, მომჩივანი ეკონომიკური აგენტები ხშირად იბარებენ მძღოლებს, ახდენენ მათზე ზეწოლას და მოითხოვენ მათგან, რომ არ ისარგებლონ სერვისი „მაქსიმით“. დოკუმენტში ასევე მითითებულია, რომ მომჩივანთა მიერ მოწმის სახით მითითებული პირი, ზაზა ხორგუაშვილი, არის მომჩივანი მხარეების წარმომადგენლის ლევან ხორგუაშვილის ნათესავი და იგი საერთოდ არ ეწევა ტაქსებით მომსახურებას.

2018 წლის 11 აპრილს შპს „ტექნოკომთან“ გამართულ საკონსულტაციო შეხვედრაზე (იხ. წინამდებარე ბრძანების 1.3. პუნქტი) საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებების დადგენის მიზნით მოპასუხე ეკონომიკურ აგენტს დამატებით დაევალა მის ხელთარსებული ინფორმაციის წარმოდგენა - გორის ტერიტორიაზე ტაქსების მომსახურების მიმწოდებელი მძღოლების საერთო რაოდენობის, ყოველდღიური გამოძახებების სტატისტიკის, შპს „ტექნოკომთან“ თანამშრომლობაში მყოფი მძღოლების რაოდენობის, პრომო-აქციების სქემების მოქმედების, ბაზრის კვლევის და სხვა საკითხების შესახებ.

აღნიშნულის შესაბამისად, შპს „ტექნოკომმა“ 2018 წლის 30 აპრილს სააგენტოში წარმოადგინა დამატებითი ინფორმაცია (წერილი N01/364). მოპასუხის განმარტებით, მომჩივანი სუბიექტების მძღოლების საერთო რაოდენობა მიახლოებით შეადგენს 600-800 მძღოლს, ხოლო იმ მძღოლების რაოდენობა, რომლებიც არ სარგებლობენ არცერთი

სერვისით და დამოუკიდებლად ახორციელებენ მგზავრების გადაყვანის მომსახურებას აღემატება 100-ს. გარდა ამისა, მოპასუხე მიუთითებს, რომ მომჩივანი ეკონომიკური აგენტები დღე-ღამის განმავლობაში ასრულებენ დაახლოებით 1100-1700 შეკვეთას. შპს „ტექნოკომი“ ასევე აღნიშნავს, რომ „მაქსიმის“ წილი ქ. გორის ბაზარზე დღეის მდგომარეობით არ აღემატება 10 პროცენტს.

პრომო აქციებთან დაკავშირებით მოპასუხე განმარტავს, რომ 2018 წლის იანვრისა და თებერვლის თვეში მოქმედებდა აქცია, რომლის ფარგლებშიც საქალაქო შეკვეთებზე მძღოლებს უბრუნდებოდათ მათ მიერ სერვისი „მაქსიმისთვის“ გადახდილი საკომისიო 50 თეთრის ოდენობით. ხოლო აღდგომის დღესასწაულთან დაკავშირებით კი მოქმედებდა აქცია, რომლის ფარგლებშიც საქალაქო შეკვეთაზე მძღოლებს უბრუნდებოდათ მათ მიერ სერვისი „მაქსიმის“ მომსახურეობისათვის გადახდილი საკომისიოს ნაწილი 30 თეთრის ოდენობით. სწორედ აღნიშნული პრომო აქციების ფარგლებში დაუბრუნდათ მძღოლებს თანხა, რომელიც ჩამოჭრილი იყო სერვისის გასამრჯელოს სახით.

ბ) მომჩივანი ეკონომიკური აგენტები

საქმის ფატობრივი გარემოებების სიღრმისეული კვლევის მიზნით, სააგენტომ 2018 წლის 30 მარტს, დამატებითი ინფორმაციისა და მტკიცებულებების წარმოდგენის თხოვნით, წერილობით მიმართა მომჩივანი მხარეების წარმომადგენელს. გაგზავნილ დოკუმენტში დეტალურად მიეთითა ის საკითხები, რომლებიც საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გარკვევისთვის იყო აუცილებელი. მას ასევე გაეგზავნა შპს „ტექნოკომის“ მიერ 2018 წლის 29 მარტს წარმოდგენილი მოსაზრებები და განემარტა, რომ ჰქონდა აღნიშნულ დოკუმენტთან დაკავშირებით საკუთარი პოზიციის დაფიქსირების უფლება.

სააგენტოს 2018 წლის 30 მარტის წერილის პასუხად, 2018 წლის 13 აპრილს (წერილი N01/320) მომჩივანმა ეკონომიკურმა აგენტებმა წარმოადგინეს საკუთარი მოსაზრებები და დამატებითი ინფორმაცია.

მათ უარყვეს მოპასუხის ის მოსაზრებები, რომლის მიხედვითაც, ისინი გორის ბაზარზე ცდილობდნენ გაერთიანების გზით დომინირებული მდგომარეობის მოპოვებას. წერილში ასევე აღნიშნულია, რომ მათ შორის არსებობს ჯანსაღი კონკურენცია და არანაირ წინასწარ შეთანხმებულ ქმედებას არ აქვს ადგილი. ეკონომიკური აგენტები ასევე მიუთითებენ, რომ 2017 წლის 2 იანვრამდე მათაც ჰქონდათ ანალოგიური დაბალი ტარიფები, თუმცა აღნიშნულმა დაბალმა ტარიფებმა, 2017 წლის 2 იანვარს საწვავზე ფასების მატების გამო, მძღოლების დიდი უკმაყოფილება გამოიწვია, რის შედეგადაც ისევ მოხდა ტარიფის მატება.

მომჩივანი ეკონომიკური აგენტები ასევე განმარტავენ, რომ მათთან თანამშრომლობს (მათი სერვისით სარგებლობს) დაახლოებით 350-400 მძღოლი და მათგან 95% სარგებლობს საკუთარი ავტომანქანით. შპს „ტექნოკომს“ კი საკუთარ ელექტრონულ სისტემაში დარეგისტრირებული ჰყავს 300, ხოლო დროებით დაბლოკილი ჰყავს - 200

მძღოლი. ამასთან, მათივე განმარტებით, მომჩივანი ეკონომიკური აგენტების მინიმალური ტარიფი შეადგენს 1.5. ლარს, ხოლო შპს „ტექნოკომის“ მინიმალური ტარიფი 1 ლარს. აღნიშნული ტარიფიდან (1.5. ლარი) კი დანახარჯი შეადგენს თითქმის 1 ლარს. მომჩივანი მხარეები ასევე აღნიშნავენ, რომ სააგენტოში საჩივრის შეტანის შემდეგ მძღოლებმა მათ მოსთხოვეს არსებული ფიქსირებული გადასახადების (გეგმების) თითქმის განახევრება იმის სანაცვლოდ, რომ კომპანია „მაქსიმში“ არ გადასულიყვნენ. აქედან გამომდინარე, რამოდენიმე ეკონომიკურმა აგენტმა გადაწყვიტა გარკვეული პერიოდის განმავლობაში გაეთავისუფლებინათ მძღოლები გადასახადისაგან (გეგმისაგან).

1.3. მხარეებთან გამართული საკონსულტაციო შეხვედრები

მომჩივან და მოპასუხე ეკონომიკურ აგენტებთან ცალ-ცალკე გაიმართა საკონსულტაციო შეხვედრები, სადაც მოხდა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებების დაზუსტება:

ა) 2018 წლის 11 აპრილის საკონსულტაციო შეხვედრა შპს „ტექნოკომთან“

შპს „ტექნოკომის“ წარმომადგენლის განმარტებით, მოპასუხე ეკონომიკური აგენტი არის „მაქსიმის“ ბრენდით მოქმედი კომპანია, რომელიც საქმიანობას ახორციელებს ტაქსების გამოძახების ელექტრონული პლატფორმების მეშვეობით. კომპანია ქმნის ელექტრონულ ბაზებს, რომლებზედაც დაშვება აქვთ შესაბამისი აპლიკაციის მქონე მძღოლებს.

წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ ნებისმიერ პირს აქვს „მაქსიმის“ აპლიკაციით სარგებლობის უფლება. ამისათვის აუცილებელია მძღოლმა ელექტრონულად გაიაროს რეგისტრაცია და „მაქსიმის“ ვებ-გვერდის საშუალებით დაეთანხმოს წინასწარ დადგენილ პირობებს, რომელსაც მძღოლი ეცნობა რეგისტრაციის პროცესში. ამის შემდეგ მძღოლი მიდის ოფისში, სადაც ხდება იმის შემოწმება, თუ რამდენად აკმაყოფილებს იგი „მაქსიმის“ მოთხოვნებს. შპს „ტექნოკომისგან“ იგი იღებს გარკვეულ ინფორმაციასა და განმარტებებს, რის შედეგადაც ხდება მისი სისტემაში ჩართვა და თანამშრომლობის დაწყება. სისტემით მოსარგებლე მძღოლები საკომისიოს სახით სერვისი „მაქსიმით“ სარგებლობისათვის იხდიან მგზავრობის ტარიფის 10%-ს. აღნიშნული კი, მოპასუხის წარმომადგენლის განმარტებით, წარმოადგენს „ტექნოკომის“ მიერ შეთავაზებული მომსახურების მაქსიმალურ ღირებულებას და იგი შეიძლება შემცირდეს კიდეც. პრომო აქციის პირობებში კი შესაძლოა გადახდილი 10%-იანი გადასახადი მძღოლს უკან დაუბრუნდეს.

აღსანიშნავია ასევე ის ფაქტი, რომ საკუთრივ შპს „ტექნოკომს“ არ ჰყავს არც საკუთარი ავტომობილები და არც მძღოლები. ამასთან, ზოგი მძღოლი, რომელიც თანამშრომლობს შპს „ტექნოკომთან“ ატარებს „მაქსიმის“ ლოგოს, რაც სრულად არის დამოკიდებული მძღოლების არჩევანზე და კომპანია არ ავალდებულებს მათ ატარონ აღნიშნული ლოგო.

შპს „ტექნოკომი“ ასევე თვლის, რომ, ვინაიდან მომჩივან ეკონომიკურ აგენტებს უმეტეს შემთხვევაში ჰყავთ საკუთარი ავტომობილები და ასრულებენ შეკვეთებს, იგი არ წარმოადგენს განსახილველი საჩივრის მოპასუხე მხარეს.

ამასთან, მოპასუხის წამომადგენელმა მიუთითა, რომ შპს „ტექნოკომი“ არ უზღუდავს მძღოლებს სხვა აპლიკაციებით სარგებლობის უფლებას. მათ შესაძლებლობა აქვთ ერთდროულად ისარგებლონ სხვადასხვა აპლიკაციებით და რომელი შეკვეთაც მათთვის მისაღები აღმოჩნდება, ის მონიშნონ და შეასრულონ.

გარდა ამისა, შპს „ტექნოკომს“ ხელშეკრულებები აქვს გაფორმებული მსგავსი სერვისის მქონე სხვა ეკონომიკურ აგენტებთან, რომლებთანაც აღნიშნული ხელშეკრულების საფუძველზე ხდება ინფორმაციის გაცვლა. მაგალითად, შპს „ტექნოკომს“ ხელშეკრულება აქვს დადებული შპს „კატენასთან“ ქოლ ცენტრის მომსახურების შესახებ. იმ შემთხვევაში თუ ერთ-ერთი ხელშემკვრელი მხარე ვერ ახერხებს შეკვეთის შესრულებას, მაშინ ხდება აღნიშნული შეკვეთის გადამისამართება სხვა ეკონომიკურ აგენტთან, რომელსაც კონკრეტულ მომენტში აქვს მისი შესრულების შესაძლებლობა. ამასთან, მომხმარებელი იმ ფასით იღებს მომსახურებას, რა ფასიც აქვს განსაზღვრული „მაქსიმს“ იმ შემთხვევაში, თუ მაქსიმის ნომრით ან აპლიკაციით მოხდა შეკვეთა.

წარმომადგენლის განმარტებით შპს „ტექნოკომის“ მენეჯერები მუშაობენ ადგილზე, ახორციელებენ ბაზრის შესწავლას და შესაბამისად ადგენენ მოსახლეობის რა ნაწილი სარგებლობს ტაქსების მომსახურებით და განსაზღვრავენ მოთხოვნის მიახლოებით მოცულობას.

ბ) 2018 წლის 4 მაისის საკონსულტაციო შეხვედრა მომჩივან ეკონომიკურ აგენტებთან

საკონსულტაციო შეხვედრაზე მომჩივან ეკონომიკურ აგენტებს განემარტათ, რომ სააგენტო დასაშვებობის ეტაპზე, უპირველეს ყოვლისა, წყვეტს თუ რამდენად აკმაყოფილებს საჩივარი გონივრული ეჭვის სამართლებრივ სტანდარტს. ვინაიდან, საჩივარი ეფუძნება კანონის მე-11^3 მუხლის სავარაუდო დარღვევის ფაქტს, სააგენტო საჩივარს იხილავს არაკეთილსინდისიერ კონკურენციასთან მიმართებაში. სააგენტოს მხრიდან ასევე აღინიშნა, რომ სიღრმისეულად მოხდა მოპასუხის ქმედებების შესწავლა და საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე დამატებითი მტკიცებულებების სხვადასხვა სუბიექტებისგან გამოთხოვა.

მომჩივანმა მხარეებმა შეხვედრაზე აღნიშნეს, რომ მოპასუხე ეკონომიკური აგენტი ამ ეტაზე არ ფლობს დომინირებულ მდგომარეობას. აღნიშნული მოსაზრება გაზიარებულ იქნა ასევე სააგენტოს მხრიდან, ვინაიდან სააგენტოს ხელთარსებული საქმის მასალებით არ დგინდება შპს „ტექნოკომის“ მხრიდან შესაბამის ბაზარზე დომინირებული მდგომარეობის ფლობის ფაქტი.

გარდა ამისა, მომჩივან ეკონომიკურ აგენტებთან მოხდა მათი საქმიანობის სპეციფიკის დაზუსტება და აღინიშნა, რომ, კანონის მე-11^3 მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის მიზნებისათვის, მათი სერვისით მოსარგებლე მძღოლები არ წარმოადგენენ მათ თანამშრომლებს, ვინაიდან სახეზე არ არის შრომითსამართლებრივი ურთიერთობა

და ამასთან, ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, მათთან სახელშეკრულებო ურთიერთობაში მყოფ მძღოლებს არ ეკრძალებათ პარალელურად სხვა კომპანიებთან ურთიერთობა.

1.4. სააგენტოს მიერ დამატებით მოძიებული ინფორმაცია და მტკიცებულებები

სააგენტოს მიერ მიმართვა გადაგზავნილ იქნა მომჩივნების მიერ დასახელებულ პირებთან, რომლებსაც ეთხოვათ საჩივარში აღწერილ გარემოებებთან დაკავშირებით მათ ხელთარსებული ინფორმაციისა და დოკუმენტაციის წარმოდგენა.

2018 წლის 7 და 9 მარტს გოჩა ზუბიაშვილმა და ზაზა ხორგუაშვილმა წერილობით დაადასტურეს, რომ ისინი მართლაც თანამშრომლობდნენ მომჩივან ეკონომიკურ აგენტებთან, თუმცა მას შემდეგ რაც „მაქსიმმა“ დაიწყო ქალაქ გორში საკუთარი სერვისის შეთავაზება, მათ დაიწყეს მოპასუხე ეკონომიკურ აგენტთან თანამშრომლობა, ვინაიდან ეს უკანასკნელი უფრო ხელსაყრელ პირობებს სთავაზობდა.

2018 წლის 2 მაისს (წერილი N01/372) სააგენტოში საკუთარი პოზიცია წარმოადგინა გორის მუნიციპალიტეტის მერიამ. წერილში აღნიშნულია, რომ უწყებას სხვა დამატებითი ინფორმაცია/დოკუმენტაცია არ გააჩნია და საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მიხედვით კერძო სამართლის იურიდიულ პირებს შორის კონკურენციის თაობაზე (არაკეთილსინდისიერი კონკურენცია) წარმოშობილი დავის შესწავლა სცილდება მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებების ფარგლებს. ამასთან, მერია განსახილველ საჩივარში დასმული საკითხთან დაკავშირებით განმარტავს, რომ ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების მიერ ბაზარზე შესვლის ადმინისტრაციული, სამართლებრივი და დისკრიმინაციული ბარიერები არ არის დაწესებული.

მხარეების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მოწოდებული ინფორმაციის ურთიერთშეჯერებისა და საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე სხვა ფაქტობრივი გარემოებების დადგენის მიზნით, სააგენტო ასევე გაეცნო სერვის „მაქსიმის“ ვებ გვერდზე არსებულ ინფორმაციას სერვისის მომსახურების პირობების შესახებ.[1]

ვებ-გვერდზე არსებული ინფორმაციის მიხედვით, სერვისით სარგებლობისთვის აუცილებელია ანკეტის ელექტრონულად შევსება, რასაც თან უნდა დაერთოს შესაბამისი დოკუმენტების ასლები. ანკეტის შევსებისას მძღოლი თანხმობას აცხადებს შეთანხმების პირობებსა და ტაქსის გამოძახების სერვისი "მაქსიმის" მონაცემთა ბაზის გამოყენების წესზე. იგი ასევე ეთანხმება საკუთარი პერსონალური მონაცემების გამოყენებასა და დამუშავებას "პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის (2014 წლის 30 ნოემბრის № 2869) მე-2 მუხლის "ზ" პუნქტის შესაბამისად.[2]

შეთანხმების პირობების შესაბამისად, სერვისი მძღოლს ანიჭებს უფლებას, გამოიყენოს მონაცემთა ბაზა, რომელიც შეიცავს აქტუალურ ინფორმაციას მგზავრების გადაყვანისა და ბარგის გადაზიდვის მომსახურების, ტვირთის გადაზიდვის მომსახურების, ჩატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოების შესრულების არსებული

[1] http://taximaxim.ge/ (13.04.2018 მდგომარეობით).
[2] http://taximaxim.ge/driver/anketa/ (13.04.2018 მდგომარეობით).

საჭიროების შესახებ, მარტივი შეთანხმებით დადგენილი პირობებითა და მეთოდებით. მძღოლი, თავის მხრივ, კისრულობს ვალდებულებას, გადაუხადოს სერვისს გასამრჯელო შეთანხმებით ან მისი დანართებით დადგენილი წესითა და ოდენობით.[3]

საკუთრივ მონაცემთა ბაზა, რომელზეც აქვს წვდომა ელექტრონულ სისტემაში ჩართულ მძღოლებს, შედგება შემდეგი მასალებისგან: აქტუალური ინფორმაცია მგზავრების გადაყვანისა და ბარგის გადაზიდვის მომსახურების არსებული საჭიროების შესახებ; აქტუალური ინფორმაცია ტვირთის გადაზიდვის მომსახურების არსებული საჭიროების შესახებ; აქტუალური ინფორმაცია ჩატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოების განხორციელების არსებული საჭიროების შესახებ.[4]

მგზავრების გადაყვანის, ბარგის გადაზიდვის მომსახურებისა და ტვირთის გადაზიდვის მომსახურების გაწევისთვის ანგარიშსწორება ხორციელდება უშუალოდ შემკვეთსა და გადამყვანს/გადამზიდველს შორის. სერვისი შემკვეთს აწვდის ინფორმაციას მომსახურების გაწევის ღირებულების შესახებ. აღნიშნული ღირებულება ანგარიშდება ტარიფების საფუძველზე, რომლებსაც შეკვეთის შესასრულებლად იყენებს მიმღები გადამყვანი/გადამზიდველი. შემკვეთის ინფორმირება მომსახურების საბოლოო ღირებულების შესახებ არ მოწმობს და არ შეიძლება შეფასდეს ისე, რომ გადაყვანის/გადაზიდვის მომსახურება ხორციელდება სერვისის მიერ.[5] გარდა ამისა, სერვისი ასევე უზრუნველყოფს მგზავრების გადაყვანის, ბარგის გადაზიდვის მომსახურების და ტვირთის გადაზიდვის მომსახურების შემკვეთის მიერ ანაზღაურების ტექნიკურ შესაძლებლობასაც.[6]

მონაცემთა ბაზაზე წვდომის მიცემისთვის სერვისის გასამრჯელოს ოდენობა განისაზღვრება მძღოლის შემოსავლიდან (ამონაგებიდან) პროცენტული გადარიცხვების სახით. სერვისის გასამრჯელოს ოდენობა შეადგენს 10 (ათ) პროცენტს თითოეული შეკვეთის ღირებულებიდან, რომელიც მძღოლმა მიიღო შესასრულებლად. გასამრჯელოს ოდენობა სერვისის მიერ შეიძლება შემცირდეს პრომო აქციების ჩატარების პერიოდში. ამ შემთხვევაში გასამრჯელოს ოდენობის შემცირება წარმოადგენს სერვისის ფასდაკლებას. ფასდაკლების ოდენობა, ასევე მისი მიღების საფუძვლები, განისაზღვრება შესაბამისი პრომო აქციის პირობებით.[7]

---

[3] შეთანხმების 2.1. მუხლი - იხ. http://taximaxim.ge/term/regulations/ (13.04.2018 მდგომარეობით).

[4] შეთანხმების 2.6. მუხლი - იხ. http://taximaxim.ge/term/regulations/ (13.04.2018 მდგომარეობით).

[5] MAXIM სერვისის მუშაობის პოლიტიკა, მუხლი 6.2 - იხ. http://taximaxim.ge/term/offer/ (13.04.2018 მდგომარეობით).

[6] MAXIM სერვისის მუშაობის პოლიტიკა, მუხლი 6.5 - იხ. http://taximaxim.ge/term/offer/ (13.04.2018 მდგომარეობით).

[7] სერვისის მონაცემთა ბაზის გამოყენების წესი, მუხლი 6.1; 6.2; 6.3. იხ. http://taximaxim.ge/term/regulations/ (13.04.2018 მდგომარეობით).

2. საქართველოს კანონმდებლობა

2.1. მატერიალური ნაწილი

კანონის მე-2 მუხლის თანახმად, მისი მიზანია საქართველოში ბაზრის ლიბერალიზაციის, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის ხელშეწყობა. კანონის მე-16 მუხლის მიხედვით, კონკურენციის პოლიტიკის განსახორციელებლად იქმნება სააგენტო, მე-17 მუხლით კი დადგენილია სააგენტოს საქმიანობის პრინციპები, კერძოდ: დამოუკიდებლობა, არადისკრიმინაციულობა, მიუკერძოებლობა, გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება.

კანონის მე-11[3] მუხლის მიხედვით, არაკეთილსინდისიერი კონკურენცია დაუშვებელია. დასახელებული მუხლის მეორე პუნქტის მიზნებისათვის კი არაკეთილსინდისიერ კონკურენციად მიიჩნევა ეკონომიკური აგენტის ქმედება, რომელიც ეწინააღმდეგება საქმიანი ეთიკის ნორმებს და ლახავს კონკურენტთა და მომხმარებელთა ინტერესებს, კერძოდ: ა) კომუნიკაციის ნებისმიერი საშუალების გამოყენებით საქონლის შესახებ ისეთი ინფორმაციის გადაცემა (მათ შორის, არასათანადო, არაკეთილსინდისიერი, არასარწმუნო ან აშკარად ყალბი რეკლამის საშუალებით), რომელიც მომხმარებელს არასწორ წარმოდგენას უქმნის და ამით გარკვეული ეკონომიკური ქმედებისაკენ უბიძგებს; ბ) ეკონომიკური აგენტის მიერ მხარის შეცდომაში შესაყვანად გარიგების ნამდვილი მიზნის დამალვა და ამით კონკურენციაში უპირატესობის მიღწევა; გ) ეკონომიკური აგენტის მიერ კონკურენტის რეპუტაციის შელახვა (საწარმოზე, პროდუქციაზე, სამეწარმეო და სავაჭრო საქმიანობაზე არასწორი შეხედულების შექმნა), მისი უსაფუძვლო კრიტიკა ან დისკრედიტაცია; დ) კონკურენტის ან მესამე პირის საქონლის ფორმის, შეფუთვის ან გარეგნული იერსახის მითვისება; ე) სამეცნიერო-ტექნიკური, საწარმოო ან სავაჭრო ინფორმაციის ან კომერციული საიდუმლოების მისი მფლობელის თანხმობის გარეშე მიღება, მოპოვება, გამოყენება ან გავრცელება; ვ) შემსყიდველის, მიმწოდებლის, მისი თანამშრომლის ან გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილების მქონე პირის მოსყიდვა, რომ მან დამქირავებლის ინტერესების საწინააღმდეგოდ ან მომხმარებლის ინტერესების უგულებელყოფით იმოქმედოს; ზ) ბოიკოტისაკენ მოწოდება.

კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად კი სააგენტო უფლებამოსილია, ეკონომიკურ აგენტს მოსთხოვოს განხორციელებული ქმედების ამ კანონთან შესაბამისობის უზრუნველყოფა.

2.2. პროცედურული ნაწილი

კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ეკონომიკურ აგენტთან მიმართებით სააგენტო უფლებამოსილია აწარმოოს საქმის მოკვლევა წარდგენილი განცხადების ან/და საჩივრის საფუძველზე ან საკუთარი ინიციატივით, საქმესთან დაკავშირებით მოითხოვოს შესაბამისი ინფორმაცია და დოკუმენტაცია, მოიწვიოს ექსპერტები, მოითხოვოს განხორციელებული ქმედების კანონთან შესაბამისობის უზრუნველყოფა, კანონის დარღვევის შემთხვევაში დააკისროს ეკონომიკურ აგენტს შესაბამისი ჯარიმა.

კანონის 22-ე მუხლის მიხედვით, სააგენტოში საჩივრის წარდგენის უფლება აქვს მომჩივანს. მან სააგენტოში საჩივართან ერთად უნდა წარადგინოს მტკიცებულებები. მომჩივანი მხარედ განიხილება და ეკისრება მტკიცების ტვირთი. კანონის მე-3 მუხლის „ო“ ქვეპუნქტი კი გვთავაზობს „მომჩივნის“ განმარტებას, რომლის მიხედვითაც იგი არის ეკონომიკური აგენტი, რომელსაც მიაჩნია, რომ კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის შედეგად მას უშუალოდ ადგება ქონებრივი ზიანი, რაზედაც შესაბამისი საჩივრით მიმართავს კონკურენციის სააგენტოს.

სააგენტო კანონის 23-ე მუხლის შესაბამისად, განცხადების დასაშვებობის საკითხის შესწავლის შემდეგ იღებს გადაწყვეტილებას საქმის მოკვლევის დაწყების ან მის დაწყებაზე უარის თქმის თაობაზე. ამავდროულად, „საქმის მოკვლევის წესისა და პროცედურის დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 30 სექტემბრის №30/09-5 ბრძანების (შემდგომში „საქმის მოკვლევის წესი“) მე-2 მუხლის მიხედვით, საქმის მოკვლევის დაწყების საფუძველია გონივრული ეჭვი კანონის შესაბამისი მუხლის დარღვევის შესახებ.

„განცხადებისა და საჩივრის ფორმების, მათი წარდგენის წესი და განცხადებისა და საჩივრის დასაშვებობასთან დაკავშირებული პროცედურებისა და ვადების დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 30 სექტემბრის №30/09-1 ბრძანების (შემდგომში „განცხადების წარდგენის წესი") მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სააგენტო საჩივარს შეისწავლის მისი შემოსვლიდან 30 დღის ვადაში. აღნიშნულ ვადაში სააგენტოს გამოაქვს გადაწყვეტილება საჩივრის დასაშვებად ცნობის ან მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ.

უარის შესახებ გადაწყვეტილება საჩივრდება კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის XIII თავით დადგენილი წესით თბილისის საქალაქო სასამართლოში.

3. სამოტივაციო ნაწილი

3.1. ზოგადი მიმოხილვა

როგორც უკვე აღინიშნა, საქმის მოკვლევის წესის მე-2 მუხლის მიხედვით, საქმის მოკვლევის დაწყების საფუძველია გონივრული ეჭვი კანონის შესაბამისი მუხლის დარღვევის შესახებ. კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევა კი გულისხმობს, რომ საჩივარში მითითებული ქმედება უნდა ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობის რომელიმე ნორმას ან ნორმათა ერთობლიობას.

საქართველოს კონკურენციის სააგენტოს, როგორც კონკურენციის სამართლის აღმასრულებელ და კონკურენციის პოლიტიკის განმახორციელებელ ორგანოს, უფლება აქვს, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განსაზღვროს, აკმაყოფილებს თუ არა საჩივარი და მასში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის გონივრული ეჭვის სტანდარტს. ამასთან, სააგენტო

ყურადღებით აფასებს საჩივარში მოცემულ ინფორმაციას და დასაშვებობის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას ითვალისწინებს საჩივრის დასაბუთებულობას.

გარდა ამისა, სააგენტოსთვის მნიშვნელოვანია შეზღუდული ადმინისტრაციული რესურსების მობილიზება ისეთ საქმეებზე, სადაც მოკვლევის შედეგად მეტად სავარაუდოა სამართალდარღვევის დადგენა. საბოლოოდ, ფასდება მოპასუხის/მოპასუხეთა მიერ წარმოდგენილი საპირწონე არგუმენტები და მტკიცებულებები, ისევე როგორც საჯარო წყაროებიდან მოპოვებული საქმისათვის მნიშვნელობის მქონე სხვა ნებისმიერი ინფორმაცია. საჭიროების შემთხვევაში, სააგენტოს, საქმის მოკვლევის დაწყების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში, დასაშვებობის საკითხის გადაწყვეტამდე, ასევე შეუძლია გამოითხოვოს ინფორმაცია მესამე პირებისგან. აღნიშნული ღონისძიებების შედეგად სააგენტოში თავმოყრილი ინფორმაციის კომპლექსური ანალიზის საფუძველზე კი სააგენტო ადგენს აკმაყოფილებს თუ არა საჩივარი გონივრული ეჭვის სტანდარტს და აღნიშნულის შესაბამისად მიიღება გადაწყვეტილება საჩივრის დასაშვებობისა თუ დაუშვებლობის შესახებ.

აღსანიშნავია ასევე ის ფაქტი, რომ საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობა არ შეიცავს გონივრული ეჭვის ცნების ლეგალურ დეფინიციას. სააგენტოს მიერ დამკვიდრებული ერთგვაროვანი პრაქტიკის მიხედვით,[8] დასაშვებობასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების პროცესში გონივრულ ეჭვის განსაზღვრისას სააგენტო ხელმძღვანელობს ევროკომისიისა (შემდგომში - „კომისია“) და ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს (შემდგომში - „მართლმსაჯულების სასამართლო“) მიერ ჩამოყალიბებული საუკეთესო პრაქტიკით.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ევროკავშირის სამართლით გათვალისწინებულია მომჩივნის ფორმალური სტატუსი. მომჩივანს კონკურენციის კანონმდებლობის (შესაძლო) დარღვევის შედეგად უნდა ადგებოდეს ზიანი და მასვე ევალება შესაძლო სამართალდარღვევის შესახებ მტკიცებულებების წარმოდგენა. საყურადღებოა ასევე ის ფაქტი, რომ მსგავს შემთხვევებშიც კი, საქმის მოკვლევის დაწყებასთან დაკავშირებით კომისია სარგებლობს დისკრეციული უფლებამოსილებით.

ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ შეთანხმების (შემდგომში - „TFEU“) 101-ე და 102-ე მუხლების შესაბამისად პროცედურების წარმართვის საუკეთესო პრაქტიკის შესახებ ევროკომისიის ნოტა განმარტავს, რომ კონკურენციის სამართლის ყველა საქმე, მიუხედავად მათი დაწყების საფუძვლებისა, გადის პირველადი შეფასების ფაზას. ამ სტადიაზე კომისია ამოწმებს, თუ რამდენად არის მიზანშეწონილი საქმეზე შემდგომი მოკვლევის განხორციელება.[9] ასევე, პრაქტიკაში, პირველადი შეფასებების სისტემა ნიშნავს, რომ ზოგიერთი საქმე წყდება წარმოების ძალიან ადრეულ ეტაპზე, რადგან ამ საქმეებზე შემდგომი მოკვლევისა თუ შესწავლის განხორციელება არ არის გონივრული.[10] მართლმსაჯულების სასამართლოს განმარტებით, კომისია აღჭურვილია უფლებამოსილებით, ევროპული კავშირის სამართლით მისთვის დაკისრებული ვალდებულებების გათვალისწინებით, დამოუკიდებლად განსაზღვროს მის წინაშე

---

[8] სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 28 მარტის ბრძანება N04/76;

[9] Commission notice on best practices for the conduct of proceedings concerning Articles 101 and 102 TFEU (იხ. http://ec.europa.eu/competition/consultations/2010_best_practices/best_practice_articles.pdf), § 11.

[10] იქვ. § 12.

არსებული საჩივრებიდან, რომელ შემთხვევაშია მიზანშეწონილი და გონივრული საქმეზე შემდგომი მოკვლევის გაგრძელება.[11] ამასთან მართლმსაჯულების სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკის მიხედვით დასაშვებობის ეტაპზე კომისიის მხრიდან განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ ექცევა ის ფაქტები და სამართლის ის ნორმები, რომლებზეც აპელირებენ მომჩივანი მხარეები.[12]

TFEU 81-ე და 82-ე მუხლების (დღეს მოქმედი შეთანხმების 101-ე და 102-ე მუხლები) შესაძლო დარღვევის შესახებ საჩივრებზე რეაგირების შესახებ ევროკომისიის ნოტა ასევე იმეორებს, რომ „ევროკომისია არ არის ვალდებული, ყველა საჩივრის შესახებ მოკვლევა დაიწყოს“ და რომ „იმ შემთხვევაში, თუ საჩივარი აკმაყოფილებს ფორმის[13] მოთხოვნებს, მაგრამ საკმარისად ვერ ასაბუთებს მასში აღნიშნულ ბრალდებებს, კომისიას ამ საფუძვლით შეუძლია მისი უარყოფა.“

ამასთან, კონკრეტული საჩივრის უარყოფა არ გულისხმობს იმის დადგენას, რომ საჩივარში დასმული საკითხები (მატერიალური კუთხით) არ არღვევს კონკურენციის კანონმდებლობას. ეს უბრალოდ ნიშნავს, რომ კომისიამ ამ ეტაპზე აღნიშნული საჩივარი დაუსაბუთებლად ჩათვალა, რაც არ გამორიცხავს მოგვიანებით კომისიის, წევრი სახელმწიფოს კონკურენციის ორგანოს ან სასამართლოს მიერ იმავე საფუძვლით კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევის დადგენას.[14]

შესაბამისად, საჩივრის დასაშვებობის ეტაპზე სააგენტო პირველ რიგში ამოწმებს მოკვლევის დასაწყებად საჩივარში მოყვანილი ფაქტობრივი გარემოებები და მტკიცებულებები აკმაყოფილებს თუ არა კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევასთან დაკავშირებით გონივრული ეჭვის სამართლებრივ სტანდარტს.

აღსანიშნავია ასევე ის ფაქტი, რომ საჩივრის დასაშვებობის საკითხის განხილვისას სააგენტო შებოჭილია ამ საჩივრის შინაარსით. კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საჩივრის შემომტანი პირი - მომჩივანი მხარედ განიხილება და ეკისრება მტკიცების ტვირთი. მომჩივანს აქვს შესაბამისი მტკიცებულებების წარმოდგენის ვალდებულებაც. ეს იმას ნიშნავს, რომ სწორედ მომჩივანი განსაზღვრავს განსახილველ საკითხთა წრეს, ირჩევს სათანადო მოპასუხეს, უთითებს კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევის სახეს და ატარებს როგორც მოპასუხის სათანადოობის, ისე დარღვევის ფაქტის არსებობის დადასტურების რისკს. სააგენტოს კი აღარ აქვს უფლებამოსილება გასცდეს საჩივრის ფარგლებს.

წარმოდგენილ საჩივარში მომჩივანი მხარეები აპელირებენ კანონის 11^3 მუხლის დარღვევაზე, რომელიც შეეხება არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აკრძალვას.

აქედან გამომდინარე, უპირველეს ყოვლისა, გასარკვევია, არსებობს თუ არა იმის ალბათობა, რომ განსახილველი ქმედებებით ირღვეოდეს კანონის მოცემული ნორმა. ამისათვის კი აუცილებელია კანონის 11^3 მუხლის სიღრმისეული ანალიზი, მისი მოქმედების ფარგლების დადგენა და შესაბამისი წინაპირობების განსაზღვრა.

---

[11] ECJ Case T-24/90, 18.09.1992, § 77. იხ. https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:61990TJ0024&from=EN.

[12] ECJ Case C-119/97, 04.03.1999, § 86. იხ. http://curia.europa.eu/juris/liste.jsf?language=en&num=C-119/97;

[13] ევროკომისიის მიერ დადგენილი საჩივრის ფორმა.

[14] იხ. Commission Notice on the handling of complaints by the Commission under Articles 81 and 82 of the EC Treaty, §. 72.

ის აუცილებელი წინაპირობები, რომელთა დაკმაყოფილების შემთხვევაშიც არის შესაძლებელი ეკონომიკური აგენტის ქმედების არაკეთილსინდისიერ კონკურენციად დაკვალიფიცირება, მოცემულია კანონის 11^3 მუხლის მეორე პუნქტში. დასახელებული პუნქტი, ერთი მხრივ, იძლევა არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ზოგად წინაპირობებს, მეორე მხრივ, კი ჩამოთვლის არაკეთილსინდისიერი კონკურენციის კონკრეტულ შემთხვევებს. გარდა ამისა, ნორმის როგორც სიტყვასიტყვითი, ასევე ტელეოლოგიური განმარტება ცხადჰყოფს, რომ იგი შეიცავს არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შემთხვევების ამომწურავ ჩამონათვალს. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, ეკონომიკური აგენტის კონკრეტული ქმედების არაკეთილსინდისიერ კონკურენციად მიჩნევისათვის იგი უნდა წარმოადგენდეს ერთ-ერთ იმ კონკრეტულ შემთხვევას, რომელიც მოცემულია კანონის 11^3 მუხლის მე-2 პუნქტში და ამასთანავე უნდა აკმაყოფილებდეს იმავე პუნქტში მოცემულ ზოგად წინაპირობებსაც. კერძოდ, ეკონომიკური აგენტის კონკრეტული ქმედების არაკეთილსინდისიერ კონკურენციად დაკვალიფიცირებისათვის აუცილებელია შემდეგი წინაპირობების არსებობა: 1) ქმედება უნდა ეწინააღმდეგებოდეს საქმიანი ეთიკის ნორმებს; 2) ქმედება უნდა ლახავდეს კონკურენტთა ინტერესებს; 3) ქმედება უნდა ლახავდეს მომხმარებელთა ინტერესებს (არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ზოგადი წინაპირობები) და სახეზე უნდა იყოს ამავე მუხლის მე-2 პუნქტის რომელიმე ქვეპუნქტით განსაზღვრული კონკრეტული შემთხვევა. ამასთან, სააგენტოს ერთგვაროვანი პრაქტიკის მიხედვით, აღნიშნული წინაპირობები წარმოადგენენ კუმულატიურ წინაპირობებს და შესაბამისად, კანონის 11^3 მუხლის მიზნებისათვის, აუცილებელია მათი ერთობლივად არსებობა.[15]

აღნიშნული ნორმის ანალიზი ასევე ცხადყოფს, რომ არაკეთილსინდისიერი კონკურენციის არსებობისთვის აუცილებელია სახეზე იყოს ისეთი ქმედება, რომელიც გარკვეულ წინააღმდეგობაში მოდის კონკურენტი ეკონომიკური აგენტის ინტერესებთან. შესაბამისად, წარმოდგენილი საჩივრის საფუძველზე საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევის გონივრული ეჭვის დასადგენად, უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელოვანია განისაზღვროს, თუ რამდენად წარმოადგენს შპს „ტექნოკომი“ მომჩივანთა კონკურენტ ეკონომიკურ აგენტს.

კანონის მე-3 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით კონკურენტ ეკონომიკურ აგენტად მიიჩნევა შესაბამის ბაზარზე მოქმედი ან პოტენციური ეკონომიკური აგენტი. სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 30 სექტემბრის №30/09-3 ბრძანებით დამტკიცებული „ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების“ (შემდგომში - „მეთოდური მითითებები“) მე-5 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, კი, შესაბამისი ბაზრის იდენტიფიცირება ხდება შემდეგი სამი პარამეტრის მეშვეობით: ა) სასაქონლო/მომსახურების ბაზრის პროდუქციული საზღვრები; ბ) სასაქონლო/მომსახურების ბაზრის გეოგრაფიული საზღვრები; გ) სასაქონლო/მომსახურების ბაზრის დროითი ჩარჩოები.

ა) მეთოდური მითითებების მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, შესაბამისი ბაზრის პროდუქციულ საზღვრებში ექცევა ყველა პროდუქტი ან მომსახურება, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს ურთიერთჩანაცვლებადად ამ პროდუქტის/მომსახურების

[15] სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 06 თებერვლის N04/31 ბრძანება; სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 01 მარტის N04/55 ბრძანება; სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 19 ივლისის N04/186 ბრძანება.

მახასიათებლებიდან, ფასებიდან და მათი გამოყენების მიზნებიდან გამომდინარე. საქონლის პროდუქციული საზღვრები დგინდება ურთიერთჩანაცვლებადობის ხარისხის გათვალისწინებით.

როგორც საქმის მასალები მიუთითებენ, შპს „ტექნოკომი“ ახორციელებს პოტენციური მგზავრებისაგან ტაქსით მომსახურებასთან დაკავშირებით შეკვეთების მიღებას და ახდენს ამ შეკვეთების მძღოლებისთვის მიწოდებას. აღნიშნულ საქმიანობას შპს „ტექნოკომი“ ახორციელებს როგორც საკუთარი ელექტრონული პროგრამის, ასევე სატელეფონო ზარების მეშვეობით. აღსანიშნავია ასევე ის ფაქტი, რომ მოპასუხის განმარტებით შპს „ტექნოკომს“ არ ჰყავს საკუთარი ავტომობილები. აქედან გამომდინარე, მოცემულ შემთხვევაში შესაბამის პროდუქციულ ბაზრად უნდა ჩაითვალოს არა უშუალოდ ტაქსებით მომსახურების გაწევა, არამედ ტაქსებით მომსახურებასთან დაკავშირებით შეკვეთების ნებისმიერი საშუალებით მიღება და ამ შეკვეთების მძღოლებისათვის მიწოდება.

საქმის მასალებიდან ასევე ირკვევა, რომ მომჩივანი ეკონომიკური აგენტებიც ეწევიან მსგავსი სახის მომსახურებას. მომჩივანი მხარის მიერ 2018 წლის 23 აპრილს წარმოდგენილი ხელშეკრულებების[16] შინაარსი მეტყველებს, რომ მძღოლები ეკონომიკური აგენტებისგან იღებენ შეკვეთების შესახებ ინფორმაციას და აღნიშნული მომსახურებისათვის ისინი იხდიან გარკვეულ საზღაურს. შესაბამისად, მომჩივანი ეკონომიკური აგენტების საქმიანობაც ექცევა დასახელებული შესაბამისი პროდუქციული ბაზრის ფარგლებში. აქედან გამომდინარე, ამ ეტაპზე შეიძლება ჩაითვალოს, რომ საქმიანობის ამ ნაწილში მომჩივანი და მოპასუხე ეკონომიკური აგენტები ოპერირებენ ერთსა და იმავე შესაბამის პროდუქციულ ბაზარზე.

ბ) მეთოდური მითითებების მე-10 მუხლის თანახმად, სასაქონლო/მომსახურების ბაზრის გეოგრაფიული საზღვრები წარმოადგენს ტერიტორიას, რომელზეც შერჩეული ჯგუფის მყიდველები იძენენ ან აქვთ ეკონომიკური, ტექნიკური და სხვა სახის შესაძლებლობები შეიძინონ განსახილველი საქონელი/მომსახურება. მოცემულ შემთხვევაში, კი აშკარაა, რომ მხარეების მიერ შეთავაზებული მომსახურების გეოგრაფიული საზღვრები კვეთს ერთმანეთს და მას წარმოადგენს გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორია.

გ) შესაბამისი ბაზრის დროითი ჩარჩო არის დროის ის პერიოდი, რომლის განმავლობაშიც ფუნქციონირებს ბაზარი კონკრეტული პროდუქციული და გეოგრაფიული საზღვრების პირობებში. განსახილველი მომსახურების ბაზარი არ წარმოადგენს სეზონური ხასიათის ბაზარს და იგი ფუნქციონირებს მთელი წლის განმავლობაში. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში ბაზარს არ გააჩნია რაიმე სახის დროითი ჩარჩო.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტოს პოზიციით, მომჩივანი მხარეები და შპს „ტექნოკომი“ მოქმედებენ ერთსა და იმავე ბაზარზე და წარმოადგენენ

---

[16] მაგ. ი/მ ლევან ხორგუაშვილსა და ფ.პ. ელგუჯა შატბერაშვილს შორის დადებული ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს მომსახურების გამწევის მიერ მომსახურების მიმღებისათვის გამოძახებების უზრუნველყოფა მასზე მინიჭებული სიხშირის მეშვეობით. (ხელშ. პირველი მუხლი) აღნიშნული მომსახურების სანაცვლოდ კი მომსახურების მიმღები უხდის მომსახურების გამწევს საზღაურს თვეში 130 ლარის ოდენობით. (ხელშეკრულების მე-2 მუხლის 2.1. პუნქტი).

ერთმანეთის კონკურენტ ეკონომიკურ აგენტებს. შესაბამისად, წინამდებარე საჩივრის საფუძველზე შესაძლებელია შპს „ტექნოკომის“ ქმედების კანონის მე-11³ მუხლთან მიმართებაში განხილვა.

როგორც უკვე აღინიშნა, შპს „ტექნოკომი“ ახორციელებს ორი სახის ქმედებას: ერთი მხრივ, იგი იღებს ტაქსების მომსახურების შეკვეთებს მომხმარებლებისგან (მგზავრებისგან), ხოლო მეორე მხრივ, იგი აწვდის აღნიშნულ შეკვეთებს ტაქსების მძღოლებს. სხვაგვარად რომ ითქვას, შპს „ტექნოკომის“ საქმიანობის სპეციფიკა მდგომარეობს იმაში, რომ იგი საკუთარი ელექტრონული პროგრამის საშუალებით იღებს შეკვეთებს ტაქსებით მომსახურებაზე და ამ შეკვეთებზე წვდომის უფლებას აძლევს მის ელექტრონულ სისტემაში ჩართულ ტაქსის მძღოლებს.

შესაბამისად, იკვეთება შპს „ტექნოკომის“ ორი დამოუკიდებელი ქმედება - ერთი მხრივ, ტაქსის მძღოლებთან და მეორე მხრივ, მგზავრებთან მიმართებაში. აქედან გამომდინარე, კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის გონივრული ეჭვის დასადგენად მიზანშეწონილია დასახელებული ორი დამოუკიდებელი ქმედების მე-11³ მუხლის წინაპირობებთან თავსებადობის საკითხის ცალ-ცალკე განხილვა.

3.2. შპს „ტექნოკომის“ ქმედება ტაქსის მძღოლებთან მიმართებაში

წარმოდგენილი საჩივრის თანახმად, მომჩივანი მხარეები აპელირებენ იმ გარემოებაზე, რომ შპს „ტექნოკომის“ მიერ საკუთარ მომსახურებაზე დაწესებული ფასები წარმოადგენს არასამართლიანად დაბალ ფასებს, რაც იწვევს მათგან მძღოლების გადინებას. მოცემულ ჭრილში კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევის გონივრული ეჭვის დასადგენად, უპირველეს ყოვლისა, უნდა გაირკვეს, ზოგადად, დაბალი (არასამართლიანი) ფასების დაწესება რა შემთხვევებში და რამდენად მოდის წინააღმდეგობაში საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობასთან.

შესაბამისად, განსახილველ შემთხვევაში „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11³ მუხლის დარღვევის გონივრული ეჭვის დასადგენად, დასაშვებობის ეტაპზე, პირველ რიგში, უნდა შემოწმდეს - მომსახურებაზე დაბალი ტარიფების დაწესება, როგორც ცალკე აღებული ქმედება, რამდენად ემთხვევა „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11³ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული რომელიმე კონკრეტული ქმედების შემადგენლობას.

კანონის მე-11³ მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით კი არაკეთილსინდისიერი კონკურენციის კონკრეტულ შემთხვევებს განეკუთვნება: ა) კომუნიკაციის ნებისმიერი საშუალების გამოყენებით საქონლის შესახებ ისეთი ინფორმაციის გადაცემა (მათ შორის, არასათანადო, არაკეთილსინდისიერი, არასარწმუნო ან აშკარად ყალბი რეკლამის საშუალებით), რომელიც მომხმარებელს არასწორ წარმოდგენას უქმნის და ამით გარკვეული ეკონომიკური ქმედებისაკენ უბიძგებს; ბ) ეკონომიკური აგენტის მიერ მხარის შეცდომაში შესაყვანად გარიგების ნამდვილი მიზნის დამალვა და ამით კონკურენციაში უპირატესობის მიღწევა; გ) ეკონომიკური აგენტის მიერ კონკურენტის რეპუტაციის შელახვა (საწარმოზე, პროდუქციაზე, სამეწარმეო და სავაჭრო საქმიანობაზე არასწორი

შეხედულების შექმნა), მისი უსაფუძვლო კრიტიკა ან დისკრედიტაცია; დ) კონკურენტის ან მესამე პირის საქონლის ფორმის, შეფუთვის ან გარეგნული იერსახის მითვისება; ე) სამეცნიერო-ტექნიკური, საწარმოო ან სავაჭრო ინფორმაციის ან კომერციული საიდუმლოების მისი მფლობელის თანხმობის გარეშე მიღება, მოპოვება, გამოყენება ან გავრცელება; ვ) შემსყიდველის, მიმწოდებლის, მისი თანამშრომლის ან გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილების მქონე პირის მოსყიდვა, რომ მან დამქირავებლის ინტერესების საწინააღმდეგოდ ან მომხმარებლის ინტერესების უგულებელყოფით იმოქმედოს; ზ) ბოიკოტისაკენ მოწოდება.

ნათელია, რომ კანონის მე-11^3 მუხლის მე-2 პუნქტში არასამართლიანი ფასების დაწესებასთან დაკავშირებით არანაირი პირდაპირი მითითება არ არის მოცემული. იგი არც ისეთ ზოგად ნორმას შეიცავს, რომლის ფარგლებშიც შესაძლებელი იქნებოდა არასამართლიანად დაბალი ფასების დაწესების არაკეთილსინდისიერ კონკურენციად დაკვალიფიცირება. აქედან გამომდინარე, აშკარაა, რომ მომხმარებლებისთვის კონკრეტულ მომსახურებაზე დაბალი ტარიფების შეთავაზება კანონის მე-11^3 მუხლით არ არის აკრძალული და იგი არ ემთხვევა ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული არცერთი კონკრეტული ქმედების შემადგენლობას.

გარდა ამისა, მომჩივნები ასევე მიუთითებენ, რომ შპს „ტექნოკომი“ მძღოლებს დამატებით, ბონუსის სახით, ყოველ გამოძახებაზე ურიცხავს თანხას 50 თეთრის ოდენობით. აღნიშნულთან დაკავშირებით შპს „ტექნოკომი“ განმარტავს, რომ სერვისით მოსარგებლე მძღოლები მიღებული მომსახურებისათვის საკომისიოს სახით იხდიან მგზავრობის ტარიფის 10%-ს, რომელიც მძღოლს შესაძლოა მხოლოდ პრომო აქციის პირობებში დაუბრუნდეს უკან.[17]

ტაქსის გამოძახების სერვისი "მაქსიმის" მონაცემთა ბაზის გამოყენების წესის 6.1. – 6.3. პუნქტებიდანაც ირკვევა, რომ მონაცემთა ბაზაზე წვდომის უფლებისათვის სერვისის გასამრჯელოს ოდენობა განისაზღვრება მძღოლის შემოსავლიდან (ამონაგებიდან) პროცენტული გადარიცხვების სახით. სერვისის გასამრჯელოს ოდენობა შეადგენს 10 (ათ) პროცენტს თითოეული შეკვეთის ღირებულებიდან, რომელიც მძღოლმა მიიღო შესასრულებლად. გასამრჯელოს ოდენობა კი სერვისის მიერ შეიძლება შემცირდეს პრომო აქციების ჩატარების პერიოდში. ამ შემთხვევაში, გასამრჯელოს ოდენობის შემცირება წარმოადგენს სერვისის ფასდაკლებას. ფასდაკლების ოდენობა, ასევე მისი მიღების საფუძვლები, განისაზღვრება შესაბამისი პრომო აქციის პირობებით.[18]

სააგენტო აღნიშნავს, რომ კანონის მე-3 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით კონკურენცია გულისხმობს შესაბამის ბაზარზე მოქმედ ეკონომიკურ აგენტებს შორის მეტოქეობას ბაზარზე უპირატესობის მოსაპოვებლად. აღნიშნულ პროცესში ეკონომიკური აგენტები თვითონ განსაზღვრავენ იმ ქმედებათა სახეებს, რომლებიც ხელს შეუწყობენ ბაზარზე მათი პოზიციების განმტკიცებას. თუმცა, ეს არ გულისხმობს, რომ ეკონომიკურ აგენტებს ამ შემთხვევაში გააჩნიათ მოქმედების შეუზღუდავი ფარგლები. ამ პროცესში,

---

[17] იხ. 2018 წლის 11 აპრილს შპს „ტექნოკომის“ წარმომადგენელთან გამართული საკონსულტაციო შეხვედრის სხდომის ოქმი.

[18] სერვისის მონაცემთა ბაზის გამოყენების წესი, მუხლი 6.1; 6.2; 6.3. იხ. http://taximaxim.ge/term/regulations/ (13.04.2018 მდგომარეობით).

ისინი ვალდებულნი არიან დაიცვან საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობით დადგენილი წესები, მათ შორის კანონის მე-11[3] მუხლით დადგენილი არაკეთილსინდისიერ კონკურენციასთან დაკავშირებული ნორმები, რომელთა ძირითად ფუნქციას და მიზანს წარმოადგენს პოტენციური და კონკურენტი ეკონომიკური აგენტების, მომხმარებლების და ზოგადად ჯანსაღი კონკურენციის მიმართ არსებული საჯარო ინტერესების თანაბრად დაცვა.

ჯანსაღი კონკურენციის ერთ-ერთ გამოხატულებას კი შესაძლოა წარმოადგენდეს ეკონომიკური აგენტების მიერ, მომხმარებელთა მოზიდვის მიზნით, კანონმდებლობის ფარგლებში საკუთარი პროდუქტის ნებისმიერი საშუალებით პოპულარიზაცია. შპს „ტექნოკომი“ ამ შემთხვევაში სწორედ ამ გზით ცდილობს კონკურენტებისათვის მეტოქეობის გაწევას. ამასთან, მნიშნელოვანია ასევე აღინიშნოს, რომ შპს „ტექნოკომის“ განსახილველი ქმედება ფუნქციურად მჭიდროდ არის დაკავშირებული მის ეკონომიკურ საქმიანობასთან და მას რეალურად შესწევს იმის უნარი, რომ მოახდინოს სერვისი „მაქსიმის“ პოპულარიზაცია. მსგავსი ქმედება კი აშკარაა, რომ არ ემთხვევა კანონის მე-11[3] მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული ქმედებების შემადგენლობას და შესაბამისად, კანონის მე-11[3] მუხლის მიზნებისათვის, შეუძლებელია მისი არაკეთილსინდისიერ კონკურენციად დაკვალიფიცირება.

სააგენტომ ასევე ყურადღება გაამახვილა კანონის მე-11[3] მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შემადგელობაზე, რომლის თანახმადაც არაკეთილსინდისიერ კონკურენციად მიიჩნევა „შემსყიდველის, მიმწოდებლის, მისი თანამშრომლის ან გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილების მქონე პირის მოსყიდვა, რომ მან დამქირავებლის ინტერესების საწინააღმდეგოდ ან მომხმარებლის ინტერესების უგულებელყოფით იმოქმედოს.“ მოცემულ შემთხვევაში, აღნიშნული ნორმის გამოყენების ერთ-ერთ უმთავრეს წინაპირობას წარმოადგენს მომჩივან ეკონომიკურ აგენტებსა და მძღოლებს შორის შრომითი ურთიერთობის არსებობა, რაც საქართველოს შრომის კოდექსის მიხედვით გულისხმობს შრომის ორგანიზაციული მოწესრიგების პირობებში დასაქმებულის მიერ დამსაქმებლისათვის სამუშაოს შესრულებას ანაზღაურების სანაცვლოდ. მოცემულ შემთხვევაში, მძღოლებსა და მომჩივან ეკონომიკურ აგენტებს შორის არ გვაქვს შრომითი ურთიერთობა. მათ შორის ურთიერთობის სპეციფიკა, როგორც უკვე აღინიშნა, მდგომარეობს იმაში, რომ მძღოლები ეკონომიკური აგენტებისგან იღებენ შეკვეთების შესახებ ინფორმაციას და აღნიშნული მომსახურებისათვის ისინი იხდიან გარკვეულ საზღაურს. ამასთან, მომჩივანი მხარის მიერ წარმოდგენილი ხელშეკრულებების შინაარსიც მეტყველებს, რომ სახეზე არ გვაქვს შრომითი ურთიერთობა.[19] შესაბამისად, შეუძლებელია ამ შემთხვევაში ადგილი ჰქონდეს თანამშრომლის რაიმე სახის მოსყიდვას, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ შპს „ტექნოკომის“ ქმედებები, როგორც უკვე აღინიშნა, წარმოადგენს მომხმარებელთა მოზიდვის მიზნით საკუთარი სერვისის პოპულარიზაციას.

---

[19] მაგ. ი/მ ლევან ხორგუაშვილსა და ფ.პ. ელგუჯა შატბერაშვილს შორის დადებული ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს მომსახურების გამწევის მიერ მომსახურების მიმღებისათვის გამოძახებების უზრუნველყოფა მასზე მინიჭებული სიხშირის მეშვეობით. (ხელშ. პირველი მუხლი) აღნიშნული მომსახურების სანაცვლოდ კი მომსახურების მიმღები უხდის მომსახურების გამწევს საზღაურს თვეში 130 ლარის ოდენობით. (ხელშეკრულების მე-2 მუხლის 2.1. პუნქტი).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ნათელია, რომ საჩივრის ამ ნაწილში არ წარმოიშვება კანონის მე-11[3] მუხლის დარღვევის გონივრული ეჭვი.

3.3. შპს „ტექნოკომის“ ქმედება მგზავრებთან მიმართებაში

საჩივარში ასევე მითითებულია, რომ შპს „ტექნოკომი“ მგზავრებს მათი მოზიდვის მიზნით ერთჯერადად საჩუქრის სახით ურიცხავს 4 ლარს. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით მოპასუხე ეკონომიკური აგენტი აღნიშნავს, რომ სერვისი „მაქსიმი“ თავისი მობილური აპლიკაციის პოპულარიზაციის მიზნით არამარტო ქალაქ გორში, არამედ მთელი საქართველოს მასშტაბით პერიოდულად ატარებს პრომო აქციებს. შპს „ტექნოკომი“ ასევე განმარტავს, რომ აქციის ფარგლებში, მგზავრს მის მიერ აღმოჩენილი პრომოკოდი შეჰყავს აპლიკაციაში რის შედეგადაც მას პირად ანგარიშზე ერიცხება თანხა 4 ლარის ოდენობით. ამ თანხიდან მას შეუძლია 90 დღის განმავლობაში გადაიხადოს ტაქსით მგზავრობის ღირებულების 30 პროცენტამდე.

დასახელებული პირობები ელექტრონული ფორმით ასევე განთავსებულია სერვისის ვებ-გვერდზე,[20] საიდანაც ირკვევა, რომ აქცია მოქმედებს 2018 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 31 დეკემბრამდე და იგი მიზნად ისახავს ახალი მომხმარებლების მოზიდვას და არ ვრცელდება იმ კლიენტებზე, რომლებიც უკვე სარგებლობენ აპლიკაციით „მაქსიმი: ტაქსის გამოძახება.“ აქციაში მონაწილეობის მიღება შეუძლია ნებისმიერ ადამიანს, რომელიც პირველად გადმოიწერს ამ აპლიკაციას. ეს აქცია კი გულისხმობს პრომოკოდის საშუალებით ტაქსით მგზავრობის ღირებულების 30%-ის გადახდას.

უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ეკონომიკური აგენტების მიერ კონკურენციის პროცესში მომხმარებელთა მოზიდვის მიზნით ღონისძიებათა სახეების თავისუფლად განსაზღვრის შესაძლებლობა ჯანსაღი კონკურენციის ერთ-ერთ ძირითად კომპონენტს და გამოხატულებას წარმოადგენს. იგი უბიძგებს ეკონომიკურ აგენტებს, მუდმივად იზრუნონ საკუთარი საქონლისა და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებაზე. გარდა ამისა, მაღალი ხარისხის მომსახურებასთან ერთად, მომხმარებლის უმთავრეს ინტერესს წარმოადგენს მისი მიღება მინიმალურ ფასად. თუმცა, ეკონომიკური აგენტები ვალდებულნი არიან, დაიცვან კონკურენციის კანონმდებლობით დადგენილი წესები. მათ ეკრძალებათ ისეთი ქმედებების განხორციელება, რომელიც წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობასთან.

მოცემულ შემთხვევაში, შპს „ტექნოკომის“ მიერ მგზავრებთან მიმართებაში განხორციელებული ქმედებაც უნდა შეფასდეს, როგორც მომხმარებლების მოზიდვის მიზნით განხორციელებული ღონისძიება, რომელიც, სააგენტოს ხელთარსებულ მონაცემებზე დაყრდნობით, არ შეიცავს არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ნიშნებს და ამასთან, არ ემთხვევა კანონის მე-11[3] მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული არცერთი ქმედების შემადგენლობას.

აქედან გამომდინარე საჩივრის არც ამ ნაწილში არსებობს კანონის მე-11[3] მუხლის დარღვევის გონივრული ეჭვი.

---

[20] http://taximaximapp.com/ka/android (26.04.2018 მდგომარეობით).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შესაბამისი ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების ანალიზის შედეგად, სააგენტო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საჩივარი ვერ აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილი დასაშვებობის წინაპირობებს (კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევის გონივრული ეჭვის სამართლებრივი სტანდარტი) და თვლის, რომ ამ ეტაპზე მოკვლევის დაწყება მიზანშეუწონელია.

4. სარეზოლუციო ნაწილი

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის 17[1] მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი და მე-5 პუნქტების, 24-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის, 28-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „განცხადებისა და საჩივრის ფორმების, მათი წარდგენის წესი და განცხადებისა და საჩივრის დასაშვებობასთან დაკავშირებული პროცედურებისა და ვადების დამტკიცების თაობაზე“ სსიპ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 30 სექტემბრის №30/09-1 ბრძანებით დამტკიცებული პროცედურის მე-12 მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების, „საქმის მოკვლევის წესისა და პროცედურის დამტკიცების თაობაზე“ სსიპ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 30 სექტემბრის №30/09-5 ბრძანებით დამტკიცებული პროცედურის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის, მე-3 მუხლის პირველი პუნქტისა და მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად,

სააგენტომ დაადგინა:

1. ი.მ. ლიზა კალმახელიძის (პირადი N43001005374), ი.მ. თინათინ ჭიღლაძის (პირადი N59001102998), ი.მ. ლევან ხორგუაშვილის (პირადი N59001009516), ი.მ. ვლადიმერ პაპიტაშვილის (პირადი N59001022593), ი.მ. ნანა სარქისიანის (პირადი N59001031345), ი.მ. დარეჯან ბზიშვილის (პირადი N59001041156), ნაირა ნალიყაშვილის (პირადი N59001021701), შპს „ჯნს გრუპის“ (ს.კ.418468820), შპს „ფორტუნას“ (ს.კ. 417877186) შპს „კახაბერის“ (ს.კ. 417877211), და შპს „მომსახურების სააგენტოს“ (ს.კ. 417879816) 2018 წლის 2 მარტის ერთობლივი საჩივარი დაუშვებლად იქნეს ცნობილი.
2. მომჩივან ეკონომიკურ აგენტებს ეთქვათ უარი წარმოდგენილი საჩივრის საფუძველზე საქმის მოკვლევის დაწყებაზე.
3. ამ ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრი №6).
4. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ნოდარ ხადური

თავმჯდომარე